N 1-138

13/02/2023 138-1-2-202302131923

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“

თქვენი 2023 წლის 07 თებერვლის №6/7126 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზენიში მდებარე 101800 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 45.12.22.183) განკარგვის საკითხს, გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთს კვეთს ხობის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჯაპიშაქარის გაზიფიცირების მიწისქვეშა პოლიეთილენის DN 40 მმ-იანი გამანაწილებელი ქსელი.

აქვე გაცნობებთ, რომ შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ“ სოფელ ჯაპიშაქარის გაზიფიცირების სამუშაოები განახორციელა საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, ამჟამად მიმდინარეობს გაზსადენის სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის პროცედურები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ არ არის წინააღმდეგი სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მიერ მოხდეს სოფელ ზენიში მდებარე 101800 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის განკარგვა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას უპირობოდ უნდა იყოს დაცული ,,გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები;
- შენობა-ნაგებობის ან ნებისმიერი სახის ნაგებობის დაშორება გაზმომარაგების მიწისქვეშა პოლიეთილენის გამანაწილებელი ქსელიდან არ უნდა შეადგენდეს 4 (ოთხი) მეტრზე ნაკლებს.

დანართი: 1 ფურცელი

მიხეილ შალამბერიძე

გენერალური დირექტორი

საქართველო,თბილისი,0167, მარატ ნოზაძის ქუჩა, №27 (99532) 2244048, (99532) 2244049, 2330053 E-mail: public@ggtc.ge საიდენტიფიკაციო კოდი 206103722 Georgia, Tbilisi,0167, Marat Nozadze street №27 Tel:(99532) 2244048, (99532) 2244049, 2330053 E-mail: public@ggtc.ge identification code 206103722